www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი — პარასკევი 11 სექტემბერი, 2009 წელი. №197 (2235) — ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

## თურქეთი უპრეცედენტო წყალდიდობის მსხვერპლს ითვლის
A4



## მშვიდობისთვის თუ საქართველოსთვის
A5



## "ლელო" პირველია
A8



24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ორმოცდარვით ცხრამეტი

## გაერო-ს რეზოლუცია და მისი შედეგები

*გაერო-ს 9 სექტემბრის რეზოლუცია გუშინ ქართული პოლიტიკის მთავარი თემა გახლდათ. საქართველოს ხელისუფლება ამ რეზოლუციის მიღების მნიშვნელობას და მისი შესრულების პერსპექტივას აფასებდა. ერთ საკითხში ყველა თანხმდება - ასეთი შთამბეჭდავი "ანგარიშით" ჯერ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ რეზოლუცია არ მოუგია.*

თამარ ხორბალაძე

გაერო-ს რეზოლუციას, რომლის სათაურია "აფხაზეთიდან, საქართველო, და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, საქართველო, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების შესახებ", 48 ქვეყანამ დაუჭირა მხარი, 19-მა წინააღმდეგ მისცა ხმა, ხოლო 78-მა თავი შეიკავა.

რეზოლუცია აღიარებს იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და ასევე მათი შთამომავლების დაბრუნების უფლებას თავიანთ სახლებში. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ სეპარატისტულ რეგიონებში შეუფერხებლად შესვლის საშუალება, რათა იქ ჰუმანიტარული საქმიანობა განახორციელონ. ასევე ამ რეზოლუციაში პირველად არის ნახსენები ცხინვალის რეგიონი.

პირველი ოფიციალური რეაქცია თბილისში ამ რეზოლუციას საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან მოჰყვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ბელარუსებმა ქვეყანაში რუსული ჯარის შესვლა გააპროტესტეს

ივა შილაკაძე

მინსკის მილიციის სპეციალური პოლკის მებრძოლებმა 9 სექტემბერს დედაქალაქის ცენტრალური მოედანი ძალის გამოყენებით გაწმინდეს დემონსტრანტებისგან, რომლებიც ბელარუსში რუსეთის ჯარის შესვლას აპროტესტებდნენ. ადამიანის უფლებათა დამცველების ცნობით, საპროტესტო აქციის რამდენიმე ათეული მონაწილე დააკავეს. მათ ღამის გატარება ციხეში მოუწიათ.

სამოქალაქო ინიციატივა "ევროპული ბელარუსის" კოორდინატორმა დიმიტრი ბონდარენკომ მობილური ტელეფონით მოახერხა, მედიისთვის შეეტყობინებინა, რომ პოლიციის ცენტრალურ განყოფილებაში, მასთან ერთად, დაახლოებით, თხუთმეტი დაკავებული იმყოფებოდა.

გაგრძელება A4 გვერდზე



*ბელორუსები ქვეყანაში რუსეთის ჯარების ყოფნას აპროტესტებენ*

# როინ კვასხვაძე: "ნაკრებში თამაშმა დიდი გამოცდილება შემძინა"

თეა დოლიძე

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ქრონიკული წარუმატებლობის ნავსი ახალგაზრდულმა ნაკრებმა გატეხა. ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე ქართველებმა თურქებს - 4:0 მოუგეს. შეუძლებელია ჩვენი გუნდიდან რომელიმე ფეხბურთელის გამორჩევა. თუმცა, ვინც თამაშს უყურა, დამეთანხმება, რომ თურქების დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა ნაკრების კაპიტანმა, "ზესტაფონის" მეკარემ როინ კვასხვაძემ, რომელმაც მაყურებელს თავი დაამახსოვრა არა მარტო კარში საიმედო თამაშით, არამედ საგოლე პასითაც (ქართველებმა მეკარე კვასხვაძის მიერ ზუსტი ჩაწოდებული პასის შედეგად გაიტანეს სწრაფი გოლი.)

21 წლამდელთა კაპიტანი "ზესტაფონის" სათადარიგო მეკარეა. თუმცა, უკვე არაერთხელ გამოიჩინა თავი. 20 წლის მეკარემ ითამაშა 2007 წლის "ყაზბეგის თასის" ფინალში და ბოლო წლებში სისტემატურად ხვდება ახალგაზრდული ნაკრების განაცხადში.




ამის მიუხედავად, "ზესტაფონში" ახალი მეკარის (და უკვე გუნდის კაპიტნის) ზურაბ მამალაძის მისვლის შემდეგ კვასხვაძეს სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. მიზეზი მისი არასტაბილური თამაშია. იმედი გვაქვს, ახალგაზრდა მეკარეს უახლოეს თამაშებში მიეცემა თავის გამოჩენის შანსი.

**- როინ, გილოცავთ თურქებთან მიღწეულ წარმატებას. როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა ჩვენი ნაკრების ასეთი დამაჯერებელი თამაში?**

- ძალიან კარგი თამაში იყო და არა მარტო პირადად ჩემთვის. ნამდვილად ყველაფერში ვაჯობეთ თურქებს და შედეგიც ისეთია, როგორსაც ყველა ველოდით.

**- საგანგებოდ ამ მატჩისთვის ეროვნული ნაკრებიდან 4 ფეხბურთელი დაგემატათ. მათ რა როლი შეასრულეს თქვენს წარმატებაში?**

გაგრძელება A7 გვერდზე

გოჩიტა ბუხაიძის ფოტო

## ვიზიტი აზერბაიჯანში

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე 14 სექტემბერს ბაქოში გაემგზავრება. სამინისტროს ინფორმაციით, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ვაშაძე აზერბაიჯანელ კოლეგა ელმარ მამედიაროვს შეხვდება. შემდეგ გვირგვინით შეამკობს ქვეყნის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის საფლავს. 15 სექტმებერს კი ვაშაძეს შეხვედრა რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან აქვს დაგეგმილი.

*პრაიმ-ნიუსი*

## "ლეიბორისტები" "სითი-პარკს" უპირისპირდებიან

"ლეიბორისტული პატრიის" ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ გუშინდელ აქციაზე კომპანია "სითი-პარკის" საქმიანობის გამო უკმაყოფილება გამოთქვა. მისივე ინფორმაციით, ავტოსადგომის 4 ათასზე მეტი თანამშრომელი გათავისუფლებულია. "თუ ხელისუფლება ამ ადამიანების დასაქმებას არ დაიწყებს, საპროტესტო აქციებს გავაგრძელებთ. "ლეიბორისტული პარტიის" წევრები "სითი პარკის" მიერ დაწესებული გადასახადების გაუქმებას მოითხოვენ," - აცხადებს ჯიბლაძე.

*პრაიმ-ნიუსი*

## მინისტრის შეხვედრა

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ლატვიელ კოლეგა მარის რიექსტინშთან ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილა. კერძოდ, საუბრის მთავარი თემა იყო საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და საერთაშორისო ორაგნიზაციებთან თანამშრომლობა. "განვიხილეთ ჩვენი თანამშრომლობა გაერო-სთან, ეუთო-სთან და სხვა ორგანიზაციებთან. ამასთან, მოსაზრებები გავცვალეთ ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის საკითხებზე," - აღნიშნა რიექსტინშმა.

*პრაიმ-ნიუსი*

## დახმარება მიწისძვრით დაზარალებულებს

გაერო-ს სააგენტოები მიწისძვრით დაზარალებულ ონის მოსახლეობას დახმარებას გაუწევენ. ისინი ონის რაიონში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენას მალე დაიწყებენ. "ჰუმანიტარული დახმარება უნდა გაეწოს ყველას და ყველგან. საგანგებო სიტუაციების დროს ჩვენ ვეხმარებით როგორც იძულებით გადაადგილებულ პირებს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას," - განაცხადა გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა პიტერ ნიკოლაუსმა. გარდა ამისა, გაერო მზად არის, საქართველოს მთავრობის და ადგილობრივი ხელისუფლების ღონისძიებათა მხარდასაჭერად, წარგზავნოს ზარალის შემფასებელი სპეციალური ჯგუფი, რომელიც გაერო-ს ბავშვთა ფონდის, სასურსათო პროგრამის, ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

*პირველი*

## „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას"

*ძვირფასო კოლეგებო,*

ღრმად დამწუხრებული ვარ ჩვენი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის გურამ ხარატიშვილის ტრაგიკული დაღუპვის გამო.

მისი გარდაცვალებით საქართველომ დაკარგა გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე, შესანიშნავი მოქალაქე და ჭეშმარიტი მამულიშვილი; იგი ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მახლობელი ადამიანი იყო და მისი გარდაცვალება ჩემთვის დიდი დანაკლისია და პირადი ტკივილი...

მიიღეთ გულწრფელი თანაგრძნობა და ჩემი ღრმა წუხილის გამოხატულება.

**აკადემიკოსი რევაზ გამყრელიძე**
*მოსკოვი, 2009 წლის 8 სექტემბერი*

# აქციის ფასი ზაფხულის ნიშნულს გაუტოლდა

თინა შავაძე

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განხორციელებული ტრანზაქციებით, სს. "სახალხო ბანკი" ლიდერობს. გასულ თვეში, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემის ჯამურმა ბრუნვამ 530,447 ლარი შეადგინა, გასხვისდა 1,955,991 აქცია და დაიდო 208 გარიგება. ძირითადი ბრუნვა სს "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს აქციაზე დაფიქსირდა. ვაჭრობის დროს ფასმა მოიმატა და 2008 წლის ზაფხულის ნიშნულს გაუტოლდა - 0,11 -0,15 ლარი თითო აქციაში.

ფასიანი ქაღლდების ბაზარზე გარესაბირჟო ვაჭრობა კვლავ მიმზიდველია. აღნიშნულ პერიოდში გარიგება 30 სახეობის აქციაზე განხორციელდა. საბროკერო კომპანია "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის+" ინფორმაცით, მთლინად დაფიქსირდა სხვადასხვა სახის 38 ტრანზაქცია (მათ შორის გირაო, გაცვლა, გაყიდვა, სატენდერო შეთავაზება და სხვა) და გაიყიდა 19,714,672 აქცია, ხოლო თანხობრივმა მაჩვენებელმა 994,308 ლარი შეადგინა. რაიმე არსებით გადანაწილებას ადგილი არ ჰქონია. ფულადი ბრუნვა სამი კომპანის აქციაზე განაწილდა, მათ შორის: სს "საქართველოს ბანკი" - 380,400 ლარი, გასხვისდა 41,524 აქცია, სს "საქართველოს სახალხო ბანკი" - 360,944 ლარი და სს "კაუკასუს ენერჯიენდ ინფრასტრაქჩა" - 248,011 ლარი.

აქციების ბრუნვის აბსოლუტური უმრავლესობა სს "საქართველოს სახალხო ბანკზე" მოვიდა - 19,258,036 ცალი, მაგრამ აქედან 12 აგვისტოს გარიგებაში 16,507,155 ცალი გასხვისდა და თითო აქცია ამ გარიგებაში 0,013 ლარად გაიყიდა, მაშინ როცა მიმდინარე ფასი 4 თეთრი იყო. სავარაუდო, აღნიშნული ტრანზაქცია დარჩენილი საკონტროლო პაკეტის ნაწილია (ბანკის 90% მეტი ზუსტად რომ 0.013 ლარში გასხვისდა თითო აქცია) ან ადგილი რაიმე სხვა სახის გარიგებას ჰქონდა. აქციის ფასის ზრდის მიუხედავად დანარჩენი აქციები 0,03 დან 0,12 ლარში გასხვისდა.

რაც შეეხება სავალუტო ბაზარს 22,000,000 დოლარი გასხვისდა. ლარის კურსი არ შეცვლილა და 1,686 ნიშნულზეა. დამატებით გამოშვებულა 25 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებები, შესაბამისად იზრდება შიდა ვალი, მაგრამ ჯამური დავალიანება მცირეა და საპროცენტო განაკვეთიც დაბალია. სავარაუდოდ, ლარის კურსის რყევა და შიდა ვალის ზრდა საპროცენტო განაკვეთების ზრდას გამოიწვევს.

# ბავშვის პასპორტის მიღების პროცედურა გამარტივდა

*ბავშვის პასპორტის მიღების პროცედურა გამარტივდა. იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში 16 წლამდე მოქალაქის პასპორტის ასაღებად ორივე მშობლის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა საჭირო აღარ არის. ამ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ გუშინ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.*

ამ საბუთის ნაცვლად 16 წლამდე პირისთვის პასპორტის მისაღებად ორივე მშობლის თანხმობის სპეციალური ფორმა სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში შეივსება. გარდა ამისა, თუ 16 წლამდე მოზარდის ერთ-ერთი მშობელი საზღვარგარეთ იმყოფება, ბავშვის პასპოტის ასაღებად საკმარისია მის მიერ საქართველოში, ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის გამოგზავნა და დოკუმენტი აღარ საჭიროებს აპოსტილით დამოწმებას ან ლეგალიზებას.

დღეისათვის 16 წლამდე მოზარდის პასპორტის გასაკეთებლად წარსადგენი საბუთებია: განცხადება-ანკეტა (გაიცემა ტერიტორიულ სამსახურებში), დაბადების მოწმობა (დედანი და ასლი), პირადობის (ბინადრობის) მოწმობა (დედანი და ასლი), თუ პირს პასპორტის გაცემამდე შეუსრულდა 14 წლის ასაკი), პასპორტის აღების შესახებ ორივე მშობლის თანხმობა (ფორმა ივსება რეესტრის ტერიტორიულ სამსახურში), ორივე მშობლის პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი), სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 17,50 ლარი და ერთი ფერადი ბიო-სურათი (დაბეჭდილი და CD დისკზე).

ახალი საკანონმდებლო ცვლილებით, ამ სერვისით მოქალაქეთა მომსახურებას გაცილებით მცირე დრო დასჭირდება და ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურებას ერთ სივრცეში მიიღებს.

ამასთან, გუშინდელ პერსკონფერენციაზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ პირველ კლასელი მოსწავლეების მშობლებს მოუწოდა, სწავლის დაწყებამდე სამოქალაქო რეესტრის სამსახურებში ბავშვების რეგისტრაცია მოახდინონ.

როგორც გიორგი ვაშაძემ განაცხადა, სწავლის დაწყებამდე პირველკლასელი მოსწავლის რეგისტრაცია აუცილებელია. მოსწავლის დასარეგისტრირებლად მშობლებმა სამოქალაქო რეესტრის სამსახურებს უნდა მიმართონ.

ვაშაძის განმარტებით, პირველკლასელი მოსწავლეების რეგისტრაციის გავლა მოსწავლეთა ერთიანი ბაზის მონაცემების შესაქმნელადაა საჭირო.

**"რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ყველა მოსწავლეს თავისი პირადი ნომერი მიენიჭება და ბავშვის სკოლიდან სკოლაში გადასვლა და სხვა სახის ცვლილება, უფრო ადვილად გაკონტროლდება. მაგალითად, როცა ბავშვი ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადადიოდა, ამის ოპერატიულად დაფიქსირება ვერ ხერხდებოდა, რადგან ის სკოლა, რომელიც ბავშვმა დატოვა, მოსწავლის გადასვლის შესახებ ინფორმაციას გვიან გვაწვდიდა, ხოლო ის სკოლა, რომელშიც ბავშვი გადავიდა, ახალი მოსწავლის მიღების ფაქტს მალევე გვატყობინებდა. ამ ყველაფრის შედეგად ხდებოდა ისე, რომ ერთი ბავშვის ხარჯზე დაფინანსებას ორივე სკოლა იღებდა,"** - განაცხადა პრესკონფერენციაზე გიორგი ვაშაძემ და სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ პირველკლასელების მშობლებმა ბავშვების დასარეგისტრირებლად მათ სამსახურს თავის დროზე არ მიაკითხეს, რის გამოც სწავლის მოახლოებასთან ერთად დარეგისტრირების მსურველთა რიცხვი ძალიან დიდია და სამოქალაქო რეესტრს მათი ერთდროულად მომსახურება უჭირს.

როგორც სამოქალაქო რეესტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განმარტავენ, პირველკლასელი მოსწავლის დასარეგისტრირებლად მშობელმა სამოქალაქო რეესტრის სამსახურებს უნდა მიმართოს. ბავშვის დარეგისტრირება მშობლის საცხოვრებელ ადგილზე ხდება. მათივე ინფორმაციით, ამის შესახებ ერთი წლის წინ ყველა სკოლა საქმის კურსში ჩააყენეს, თუმცა დარეგისტრირების პროცესი ამ დრომდე გაჭიანურდა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# განმარტება მეჰმედ ოზთურქის საქმეზე

*2009 წლის 15 აგვისტოს თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, პანამის დროშით მცურავი ტანკერის კაპიტანი მეჰმედ ჯოშ კუნ ოზთურქი, ეკიპაჟის წევრებთან ერთად, ჯგუფურად შევიდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე - საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს დაქვემდებარებული სამსახურის გვერდის ავლით აღნიშნული ტანკერით სცადა თურქეთის სადგურ "იზმიტიდან" გადმოტანილი განსაკუთრებით დიდი ოდენობის ტვირთი - 2088 ტონა ბენზინი და 700, 075 ტონა დიზელი (საერთო ღირებულებით 3 644 044 ლარი) გადმოეტვირთა სოხუმის ნავსადგურში, რაც აღკვეთილ იქნა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ.*

აღნიშნული დანაშაულისთვის მეჰმედ ჯოშკუნ ოზთურქს წარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლებით და მისი საქმე განსახილველად გადაეგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

საქმის მასალების სრულად შესწავლის, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მოწმეების დაკითხვის შედეგად სასამართლომ დამნაშავედ ცნო გემის კაპიტანი მისთვის წარდგენილ ბრალდებებში, ამასთან, გამოარკვია, რომ ანალოგიური ქმედება მას დროის მოკლე მონაკვეთში (20 ივლისი - 15 აგვისტო) სამჯერ ჰქონდა ჩადენილი.

სასამართლოს გადაწყვეტილებით მეჰმედ ოზთურქს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით; 214 მუხლის მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით; 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით; 3221-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით; 3221 მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით; 3221-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო მოქმედებს სასჯელის სრული შეკრებითობის პრინციპით, ანუ იკრიბება განსასჯელისთვის მისჯილი ყველა სასჯელი. გემის კაპიტანს კი აღნიშნული დანაშაულების მრავალგზის ჩადენა ედება ბრალად. შესაბამისად, სასამართლომ შეკრიბა ყველა სასჯელი, რამაც საერთო ჯამში 24 წელი შეადგინა.

განსასჯელმა მოგვიანებით, საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას, სრულად აღიარა ჩადენილი დანაშაული და მოითხოვა მასთან გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება. რაც ასევე საქართველოს კანონმდებლობით არის დადგენილი. განსასჯელთან პროკურატურამ გააფორმა საპროცესო შეთანხმება და მიმდინარე წლის 8 სექტემბერს აღნიშნული საპროცესო შეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თუკი პირი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, თანამშრომლობს გამოძიებასთან და აქვს სურვილი დადოს საპროცესო შეთანხმება, სახელმწიფო მისი უფლებების და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონის შესაბამისად, მასთან საპროცესო შეთანხმებას აფორმებს.

აღნიშნულ საქმესთან მიმართებაშიც, სასამართლომ შეამოწმა საპროცესო შეთანხმების პირობები, მოთხოვნები და დაადგინა, რომ განსასჯელი ცნობილ იქნეს წარდგენილ ბრალდებაში და მოხდეს მასთან შეთანხმება ბრალზე და სასჯელზე.

სააპელაციო სასამართლომ საბოლოო სასჯელად მ. ჯ. ოზთურქს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რაც ჩაეთვალა პირობით სამი (3) წლის გამოსაცდელი ვადით. ამასთან, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ორმოცდარვით ცხრამეტი

პირველი გვერდიდან

სააკაშვილის თქმით, რეზოლუცია, რომელიც გაერო-მ მიიღო, საკუთარი სახლებიდან გამოძევებულ და ქონებაწართმეულ ადამიანებს უკან დაბრუნებისა და ქონების დაბრუნების უფლებას აძლევს.

**"როცა ეს ქვეყანა** [რუსეთი]**, მისი ხელმძღვანელობა ასეთ რაღაცას არ უჭერს მხარს, რა თემაზე უნდა ვილაპარაკოთ დღევანდელ ხელმძღვანელობასთან და აგრესიულად განწყობილ სამხედრო პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

ამასთან პრეზიდენტმა მკაფიოდ აღნიშნა საქართველოს მისიის კარგი მუშაობა ნიუ-იორკში.

რეზოლუციას პოზიტიური ტენდენციის მანიშნებელი შედეგი უწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ. მისი თქმით, **"არსებული პოზიტიური ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, საქართველოს დეოკუპაციას ხელს არაფერი შეუშლის."** საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, ეს შედეგი საქართველომ დიდი მუშაობის წყალობით მიიღო. **"დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის ფრონტის ხაზი საერთაშორისო სამართალზე გადის. ოკუპაციის ხაზი კი გადის იქ, რომელსაც ადრე ჩვენ აფხაზეთსა და ე.წ. სამხეთ ოსეთში ადმინისტრაციულ საზღვრებს ვეძახდით,"** - განაცხადა ვაშაძემ.

რეზოლუციის შესასრულებლად გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიამ სპეციალურ ბრიფინგზე ისაუბრა. მისი თქმით, ქართული მხარე ჟენევის დისკუსიების მომდევნო რაუნდზე პრინციპულად დააყენებს რეზოლუციაში დაფიქსირებულ საკითხებს. **"ჩვენ მოვითხოვთ, რეზოლუციის შესაბამისად, შედგეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ლტოლვილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების ზუსტი გრაფიკი. ჩვენ ეს საკითხი წინა რაუნდზეც დავაყენეთ, თუმცა რუსულმა მხარემ მაშინ განაცხადა, რომ საკითხის ფორსირებულად დაწყება არ იყო საჭირო. ამჯერად ჩვენ ამ საკითხს პრინციპულად დავაყენებთ,"** - აღნიშნა ბარამიამ.

გაერო-ს რეზოლუციას სოხუმის მარიონეტული რეჟიმიც გამოეხმაურა. სერგეი შამბა მიიჩნევს, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დევნილების დაბრუნებისთვის გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. სააგენტო "ინტერპრესნიუსთან" საუბარში იგი აღნიშნავს, რომ რეზოლუციის პროექტი აფხაზურ მხარესთან არ იყო შეთანხმებული. შამბას განცხადებით, აღნიშნული თემა ასევე არ განხილულა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სოხუმში გამართულ გუშინდელ შეხვედრებზე. **"ლტოლვილების დაბრუნების თემაზე 1994 წლიდან ვმუშაობთ. ლტოლვილთა დაბრუნების პირველი ეტაპი გალის რაიონში დაბრუნებას ითვალისწინებდა. ეს განხორციელდა კიდეც. მეორე ეტაპის დაწყება კი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ აფხაზეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკა შეიცვლება, რაც დღემდე არ მომხდარა. ამდენად, მეორე ეტაპის დაწყება დღის წესრიგში არ დგას,"** - განაცხადა სერგეი შამბამ და დასძინა, რომ მეორე ეტაპის დაწყება მხოლოდ თბილისის კურსის შეცვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

> საქართველოს მიერ მომზადებულ რეზოლუციას გაეროში 48 ქვეყანამ დაუჭირა მხარი, 19-მა - წინააღმდეგ მისცა ხმა
>
> **მხარდამჭერები:** ალბანეთი, აზერბაიჯანი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, შვედეთი, უკრაინა, ამერიკის შეერთებული შტატები, ანდორა, ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, კანადა, ხორვატია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, იაპონია, ლიხტენშტეინი, ლუქსენბურგი, მალტა, მონაკო, ჩერნოგორია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პორტუგალია, სენტ-ლუისი, სან მარინო, სლოვენია, ესპანეთი, ყოფილი იუგოსლავიური რესპუბლიკა მაკედონია, უგანდა, გაერთიანებული სამეფო, ვანუატუ.
>
> **მოწინააღმდეგე:** სომხეთი, ბელარუსი, კორეის დემოკრატიული სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი, ირანი, მიანმა, რუსეთი, სირია, ვენესუელა, ალჟირი, ბოლივია, კუბა, ეკვადორი, ეთიოპია, ნიკარაგუა, ლაოსი, შრი ლანკა, ვიეტნამი, ზიმბაბვე.

გაერო-ს რეზოლუციის თემით გაიხსნა გუშინ საპარლამენტო დღეც. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის თქმით, მას არ აქვს ილუზია, რომ რუსეთი, რომელიც საქართველოს ტერიტორიების ფაქტობრივ კონტროლს ახორციელებს, გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციით უცებ შეიცვლება და კონსტრუქციულ ნაბიჯებს გადადგამს. როგორც ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რუსეთმა ბოლომდე იბრძოლა, რათა ეს რეზოლუცია არ შემდგარიყო, ამიტომ ახლო პერსპექტივაში ოკუპირებულ ტერიტორიებზე სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარე მნიშვნელოვანს უწოდებს იმ გარემოებას, რომ ამ რეზოლუციით დადასტურდა შემდეგი - რუსეთის მიერ ახალი რეალობის და ახალი სახელმწიფოების შექმნა საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება. ასევე, ეთნიკური წმენდის შედეგად ლტოლვილთა უფლებების დადასტურება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგვისტოს ომის შემდეგ. გარდა ამისა, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამართალი და სიმართლე საქართველოს მხარეზეა. **"მოკლევადიან პერსპექტივაში ძალამ შეიძლება, დაჩაგროს სიმართლე, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სიმართლე ყოველთვის იმარჯვებს. გუშინ კიდევ ერთხელ მივიღეთ იმის დასტური, რომ სიმართლე ქართულ მხარეზეა და ჩვენ ადრე თუ გვიან გავიმარჯვებთ,"** - განაცხადა ბაქრაძემ.

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი კი დარწმუნებულია, რომ გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია გავლენას მოახდენს ორგანიზაციის გენერალური მდივნის მორიგ ანგარიშზე.

ჟურნალისტებთან საუბრისას დავით დარჩიაშვილმა რეზოლუციის შინაარსს მნიშვნელოვნი უწოდა და აღნიშნა, რომ საქართველოსთან მიმართებაში კიდევ ერთხელ დაფიქსირდა აზრი გლობალური მასშტაბით.

შედარებით სკეპტიკურად არის განწყობილი რეზოლუციის შესრულების პერსპექტივის მიმართ ვიცე-სპიკერი, ოპოზიციონერი დეპუტატი პაატა დავითაია. როგორც დავითაიამ ჟურნალისტებს განუცხადა, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ დოკუმენტში აფხაზეთის გარდა, ცხინვალის რეგიონიც არის დაფიქსირებული, რასაც გაერო-ს ფორმატში აქამდე ადგილი არ ჰქონია. თუმცა, როგორც დავითაია ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას სავალდებულო შესრულების ძალა არ გააჩნია, მაინც მნიშვნელოვანია საქართველოს სიმართლის საერთაშორისო დონეზე დაფიქსირება.

ვიცე-სპიკერი აცხადებს, რომ თავად გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ არაერთ რეზოლუციაში ჩაწერილა აფხაზეთში დევნილების უპირობოდ დაბრუნების შესახებ, რაც დღემდე არ შესრულებულა და გასაკვირი არ არის, თუ რუსეთი არც გენერალური ასამბლეის ამ რეზოლუციას შეასრულებს.

გაერო-ში საქართველოს ყოფილ ელჩ რეზო ადამიას განცხადებით კი, საერთაშორისო რეზოლუციების იგნორირებით რუსეთი, შესაძლოა, საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდეს. **"თუ რუსეთი თავის პოლიტიკას არ შეცვლის და საერთაშორისო სამართლის და რეზოლუციების იგნორირებას გააგრძელებს, ის, შესაძლოა, საერთაშორისო იზოლირებაში მოექცეს, ისევე როგორც ერთ დროს ისრაელი,"** - განაცხადა ადამიამ. მისივე თქმით, **"მართალია, გაერო-ში მიღებული რეზოლუციით დევნილების დაბრუნება მალევე არ იქნება შესაძლებელი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ რეზოლუციაში აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხი დაფიქსირდა და რუსეთს მასზე ვეტოს დადების უფლება არა აქვს."** ამასთან, ყოფილი ელჩის შეფასებით, **"მსგავსი რეზოლუციები არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად დიპლომატიურ წნეხს ზრდის. გაერო-ს გენერალური ასამბლეის ფორმატი საშუალებას გვაძლევს, არა მარტო ლტოლვილების დაბრუნებაზე ვისაუბროთ, არამედ საერთაშორისო საზოგადოებას მოვთხოვოთ, რომ აღნიშნული ტერიტორიები ოკუპირებულ ზონებად აღიაროს,"** - დასძინა ადამიამ.

# გარიყულები და ნორმალურები

## ვენესუელა შეუერთდება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას

მოსკოვში ჩასულმა ვენესუელის პრეზიდენტმა ჰუგო ჩავესმა დმიტრი მედვედევთან

შეხვედრისას აღნიშნა, რომ ვენესუელა აღიარებს სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. **"მინდა, გამოვაცხადო, რომ ვენესუელა შეუერთდება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. ამ მიზნით ჩემი ქვეყანა შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს დაიწყებს,"** - აღნიშნა ჩავესმა.

რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა ჰუგო ჩავესს გადაწყვეტილების გამო მადლობა გადაუხადა. **"თითოეული სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა აღიაროს ან არ აღიაროს, მაგრამ ჩვენთვის, რა თქმა უნდა, სულ ერთი არ არის ამ სახელმწიფოების ბედი და მინდა, ასეთი გადაწყვეტილებისთვის მადლობა გითხრათ,"** - მიმართა მედვედევმა ვენესუელელ კოლეგას.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებიდან ერთი წლის თავზე, აცხადებს, რომ შარშან, აგვისტოს ომის **"მომენტისთვის შექმნილ პირობებში ეს რუსეთის ხელისუფლების ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო"**.

**"მშვიდობიან ცხინვალზე ქართული სამხედრო მანქანის ბარბაროსული თავდასხმის ფონზე, რამაც ასობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი გამოიწვია, ეს ნაბიჯი დაეხმარა შემდგომი სისხლისღვრის შეჩერებას, აგრესორის დაგმობას და რეგიონში სიტუაციის ნორმალიზებას,"** - ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც 25 აგვისტოს, სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობის წლისთავამდე ერთი დღით ადრე გამოქვეყნდა.

რუსეთის გარდა, საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა მხოლოდ ნიკარაგუამ აღიარა. მოსკოვი აცხადებს, რომ ამ პროცესის გასაფართოებლად საერთაშორისო თანამეგობრობაზე ზეწოლას არ განახორციელებს, რაც "უდაოდ შეუწყობდა ხელს რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების შემდგომ განმტკიცებას."

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის განცხადებით, სეპარატისტული რეგიონების აღიარება ისეთი სახელმწიფოს მიერ, როგორიც ვენესუელაა, კიდევ ერთხელ ნათელს ხდის, რომ საქართველო ამ კონფლიქტში სრულიად მართალია. **"ასეთი ნაბიჯები ისეთი უცნაური ლიდერების მხრიდან, როგორიც ჩავესია, ნათელს ხდის, რომ საქართველო მართალია და ანომალიაა ისეთი სახელმწიფოების არსებობა, როგორიც დამოუკიდებელი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია. მე ვფიქრობ, რომ მეტი არგუმენტი ეძლევათ ჩვენს მხარდამჭერებს, რომელთაც უპირისპირდება გარიყულთა ბანაკი, რადგან ჩვენ ვიცით, რა ტიპის პოლიტიკოსია ჩავესი და რა პოლიტიკას ეწევა მსოფლიოში. ამიტომ ხდება კრისტალიზაცია - გარიყულები ერთ მხარეს და ნორმალურები - მეორე მხარეს,"** - განაცხადა თემურ იაკობაშვილმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

### ბაქრაძის შეფასება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკრიტიკა რუსეთის სათათბირო, რომელიც პრეზიდენტს შეიარაღებული ძალების გამოყენების უფლებას აძლევს. ბაქრაძის თქმით, ამით მოსკოვი ცდილობს იმის ლეგიტიმაციას, რაც საქართველოში ერთი წლის წინათ გააკეთა.

*პრაიმ-ნიუსი*

### "რესპუბლიკელების" ერთ-ერთი ლიდერი პოლონეთშია

"რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი პოლონეთში მიმდინარე ევროპის ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს. ფორუმში მსოფლიოს დიდი ბიზნესის, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების 2000-მდე დელეგატი მონაწილეობს. ღონისძიებებს ასევე ესწრებიან სხვადასხვა ქვეყნების მოქმედი და ყოფილი პრემიერ-მინისტრები, საგარეო საქმეთა მინისტრები, პრეზიდენტები და სხვა მაღალი რანგის წარმომადგენლები. ამასთან, თინა ხიდაშელი, ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებისთან ერთად, წაიკითხავს მოხსენებას სახელწოდებით - "ევროპის, აშშ-სა და რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში". ასევე, წარადგენს მოხსენებას თემაზე "დიდი ბიზნესის როლი ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში და დემოკრატიის ხელშეწყობა".

*პირველი*

### "ქრისტიან-დემოკრატების" წინადადება

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" ხელისუფლებისგან ქვეყანაში ყველა ოჯახისთვის ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ამოქმედებას ითხოვს. გიორგი თარგამაძის პოლიტიკური პარტია ამ მიმართულებით პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე რიგი ინიციატივებს დაყენებას გეგმავს. "განახლების პროგრამის" ფარგლებში შემუშავებული სოციალურ ინიციატივებზე მოძრაობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ გუშინ ისაუბრა. მას მიაჩნია, რომ ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებისთვის მშპ-ს 5 პროცენტი უნდა გამოიყოს. ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალური საავადმყოფოების ქსელის შექმნა. რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამებს, თარგამაძის თქმით, უნდა გაიზარდოს ონკოლოგიის და კარდეოლოგიის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსება და ხშირად მოხმარებად მედიკამენტებზე ზღვრული ფასები დაწესდეს.

*პირველი*

### ოპოზიციონერის პრესკონფერენცია

ოპოზიციის წარმომადგენელმა კახა მიქაიამ გუშინ ზუგდიდში პრესკონფერენცია გამართა. მისი თქმით, საზოგადოებრივი მოძრაობის "დაიცავი საქართველო" ოფისიდან, დაახლოებით, ხუთმეტრიანი ბილბორდი მოიპარეს. მიქაია აცხადებს, რომ ოფისი ზუგდიდის ცენტრში მდებარეობს და ამიტომ ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების შეუმჩნევლად ბილბორდის მოპარვას ვერავინ შეძლებდა. გარდა ამისა, მიქაიას ინფორმაციით, ზუგდიდში მოსალოდნელია "საკნების" დარბევა. "ხელისუფლება გეგმავს, პროგრამა "ანგარიში ხალხს" ზუგდიდშიც გამართოს და ეს "საკნები" მას ხელს შეუშლის," - აღნიშნა ოპოზიციის წარმომადგენელმა.

*ინტერპრესნიუსი*

### პარლამენტარების შეხვედრა საგარეო უწყებასთან

გუშინ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ურთიერთობის საპარლამენტო კომიტიტის თავმჯდომარემ ნუგზარ წიკლაურმა სხვადასხვა ქვეყნებში არალეგალურად მცხოვრები ქართველების საკითხი და მათი პრობლემები უცხოეთში აკრედიტებულ ქართველ დიპლომატებთან განიხილა. გარდა ამისა, გუშინდელი შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო საელჩოებისა და საკონსულოების ურთიერთობები ქართულ სათვისტომოებთან. საქართველოს ელჩებმა კომიტეტის სხდომაზე წარმოადგინეს დეტალური ინფორმაცია საელჩოებისა და საკონსულოების ქართულ სათვისტომოებთან ურთიერთობების შესახებ. ისაუბრეს ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე, მათი მოგვარების გზებზე და სამომავლო გეგმებზე. შეხვედრის შემდეგ წიკლაურმა განაცხადა, რომ ქართულ სათვისტომოოებთან საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ურთიერთობები უფრო უნდა გაღრმავდეს. მისივე თქმით, ქართულ სათვისტომოებს მჭიდრო ურთიერთობები უნდა ჰქონდეთ სხვა ქვეყნების სათვისტომოებთან, რათა შესაძლებელი იყოს რუსეთის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ერთიანი წინააღმდეგობის ფრონტის შექმნა.

*პირველი*

CMYK - 4



# თურქეთი უპრეცედენტო წყალდიდობის მსხვერპლს ითვლის

მარიკა იაშვილი



თურქეთში ძლიერი წყალდიდობის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 31-მდე გაიზარდა. კიდევ რვა ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. ცნობილი გახდა, რომ გარდაცვლილთა ნაწილი მოვარდნილმა ტალახმა იმსხვერპლა, ხოლო ნაწილი წყალმა წაიღო. ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, დაკარგულთა ძებნა კვლავ გრძელდება.

რაიონებში, რომლებიც ძლიერი წვიმებისგან გამოწვეულმა წყალდიდობამ დააზარალა, აღდგენითი სამუშაოები დაიწყო.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი მომხდარ სტიქიურ უბედურებას “საუკუნის კატასტროფას" უწოდებს.

სინოპტიკოსთა თქმით, ისეთი ძლიერი წვიმები, როგორიც თურქეთში 7 სექტემბერს დაიწყო და დღემდე გრძელდება, ქვეყანაში 80 წელზე მეტია, არ ყოფილა. ერთ-ერთ რაიონში მხოლოდ ორი საათის განმავლობაში მოსული ნალექის სიმაღლემ 24 სმ შეადგინა.

პროგნოზის მიხედვით, თურქეთის ჩრდილო-დასავლეთში წვიმიანი ამინდი უახლოესი დღეების განმავლობაშიც შენარჩუნდება, თუმცა სტიქიის სიმძლავრე მნიშვნელოვნად შემცირდება.

სტიქიამ ყველაზე მეტად სტამბულის რამდენიმე რაიონი და მისი შემოგარენი დააზარალა. წყლის ქვეშ არის მოყოლილი სტამბულის აეროპორტის მიმდებარედ არსებული ავტომაგისტრალები.

წყალმა მთლიანად დაფარა მსუბუქი ავტომობილები. მოსახლეობა თავის გადარჩენას ავტობუსებსა და სახლის სახურავებზე ასვლით ცდილობს, საიდანაც ისინი სამაშველო ვერტმფრენებით გადაჰყავთ.

სტამბულის სიახლოვეს მდებარე ქალაქებში წყალმა გზები, საცხოვრებელი სახლები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დატბორა. ჩაინგრა ორი ხიდი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ წყალმა თითქმის მთლიანად დაფარა სტამბულის დასავლეთ ნაწილი, ქალაქის ცენტრი პრაქტიკულად უვნებლად გადარჩა.

# ბელარუსებმა ქვეყანაში რუსული ჯარის შესვლა გააპროტესტეს

პირველი გვერდიდან

დაკავების დროს, მათ პოლიციელები ფიზიკურად გაუსწორდნენ და ცემა მილიციის განყოფილებისკენ გზაზე "ომონის" ავტობუსშიც გააგრძელეს. ხალხს ხელკეტებს ურტყამდნენ თავში და წიხლებითაც სცემდნენ, ზოგიერთს ხელბორკილებიც დაადეს. მაგრად იყვნენ ნაცემები აქტივისტები ვიქტორ ივაშკევიჩი (ბელარუსის სახალხო ფრონტის მინსკის ორგანიზაციის ხელმძღვანელი) და დმიტრი ბოროდკა. სამართალდამცავებმა ექიმების გამოძახებაზეც უარი განაცხადეს.

საპროტესტო აქციის მონაწილეთა გარდა, დაზარალდნენ ჟურნალისტებიც. პოლონური ტელეარხის (TVP) ოპერატორ ვლადიმირ კოსტინს კამერა დაუზიანეს, იულია დოროშკევიჩი ასფალტზე დააგდეს. აქციის დაშლისას სამართალდამცავებმა არც ქალები და ახალგაზრდა გოგონები დაინდეს. "ომონის" თანამშრომელთა ნაწილი სამოქალაქო ტანსაცმლით იყო, გარდა ამისა თავადვე განაცხადეს, რომ არა სამართალდამცავი, არამედ სადამსჯელო ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან.

გუშინ აქციის, დაახლოებით, 17 მონაწილე გაასამართლეს და 120-დან 350 დოლარამდე ჯარიმები დააკისრეს. სასამართლოები დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა. დარბაზები სავსე იყო სამართალდამცავებით და მოსალოდნელი სასამართლო პროცესების შესახებ წინასწარ არც ოპოზიციურ პარტიებს, არც ადვოკატებსა და არც ადამიანის უფლებათა დამცველებს არ ჰქონდათ ინფორმაცია.

სამხედრო ეშელონებმა რუსეთიდან ბელარუსში 9 სექტემბერს დაიწყეს შემოსვლა. ერთობლივ რუსულ-ბელარუსულ სწავლებებში "დასავლეთი 2009" 6 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს. მიუხედავად იმისა, რომ "საკავშირო" ერთობლივი სწავლება პირველად არ ტარდება, რამდენიმე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა ხალხი მიიწვია მიტინგზე, რომლის მთავარი ლოზუნგიც იყო "არა რუსეთის ოკუპაციას!". "რუსი ჯარისკაცები აქამდე არასდროს დადიოდნენ მარშით სუვერენული ბელარუსის ტერიტორიაზე! ერთობლივი სამხედრო სწავლებები ადრეც ტარდებოდა, მაგრამ საშტაბო დონეზე, რუკებით და რუსულ პოლიგონებზე. ბელარუსის მიწაზე მეზობელი სახელმწიფოდან ასეთი მასშტაბური სამხედრო დაჯგუფება პირველად შემოვიდა," - აცხადებს ვიაჩესლავ სივჩიკი, სოლიდარობის მოძრაობა "რაზამის" ლიდერი. მისი აზრით, რუსეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები იმდენად დაძაბულია, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ ძლიერი რუსი მეზობლის მხრიდან ბელარუსის დამოუკიდებლობისთვის არსებულ საფრთხეზე.

ბელარუსული სიტყვა "რაზამ" ნიშნავს "ერთად", მაგრამ ხუთი ოპოზიციური ძალის მიერ (ამ ხუთიდან ბელარუსის იუსტიციის სამინისტროს მიერ მხოლოდ ორია რეგისტრირებული: სოციალ-დემოკრატიული პარტია "ნაროდნაია გრამადა" და “ბელარუსის სახალხო ფრონტი”, ამ უკანასკნელის სახელით მინსკის ორგანიზაცია გამოდიოდა) წამოწყებულ აქციას მხარი არ დაუჭირეს გავლენიანმა ოპოზიციონერებმა. "მე მოედანზე შემთხვევით აღმოვჩნდი. საპროტესტო აქციები უნდა მომზადდეს და ასე "ექსპრომტად" არ უნდა ტარდებოდეს," - აქციაზე ხალხის სიმცირის გამო განაცხადა ლიავონ ბორშჩევსკიმ, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ დატოვა “ბელარუსის სახალხო ფრონტის” თავმჯდომარის პოსტი".

აქციის მონაწილეები დიდხანს არ მდგარან ტრანსპარანტებით "რუსეთის არმია, go home!" "არა რუსეთის ჯარებს ბელარუსში!" და სხვ. ბელარუსის ომონმა ისინი სწრაფად დაშალა, მიუხედავად იმისა, რომ პროტესტანტებმა რამდენჯერმე სცადეს მოედანზე თავშეყრა. მინსკის მერიას აქციის ჩატარებაზე სანქცია, ცხადია, არ ჰქონდა გაცემული.






CMYK - 4

# მშვიდობისთვის თუ საქართველოსთვის

## მხოლოდ ფაქტები და არაფერი სხვა

სოფო კილასონია



**ფაქტი I** - 7 სექტემბერს მოსკოვში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. ამ კონცერტში მონაწილეობდა ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე.

**კომენტარი**: კონცერტის ზუსტი ადგილი ცნობილი არაა, პათეთიკურ-რიტორიკულ საუბრებში ადგილს კრემლის ეზოდაც მოიაზრებენ, მედვედევის სამეფოდაც და ა.შ.

**ფაქტი II** - 5 სექტემბერს მოსკოვის დღესთან დაკავშირებით მედვედევის კარზე გარკვეული ღონისძიებები შეინიშნა, მათ პრეზიდენტის მაკურთხეველი გამოსვლაც ახლდათ.

**კომენტარი**: მედიაში ეს ორი ღონისძიება აერიათ, თუმცა ამ ცდომილებაში სკეპტიკურად განწყობილი საზოგადოებისთვის გადამწყვეტი ბევრი არაფერია.

**ფაქტი III** - პაატა ბურჭულაძე აქამდე იმ ქართველებს შორის გახლდათ, რომლებმაც მოსკოვს გარკვეული პროტესტი 2008 წელს გამოუცხადეს. კონკრეტულად ქართველმა ბანმა რუსეთში სიმღერაზე უარი განაცხადა.

**კომენტარი**: დღეს მის ოპონენტებს შორის ლიდერობენ ისინი, რომლებმაც რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გადაწყვიტეს მხოლოდ, რომ რუსეთისთვის "რევერანსები" და რომანსები აღარ მიეძღვნათ, თუმცა მათი რიცხვი ძალიან მცირეა. კიკაბიძიდან ბრეგვაძემდე... არაერთი ცნობილი ქართველი ხელოვანი, ექიმი თუ მეცნიერი თავისუფალია ემპათიის იმ ხარისხისგან, რომელიც მათ მწვავე პროტესტის გამოხატვის საშუალებას მისცემდათ.

***

საქმეს, რომელსაც ჩვენ "ბურჭულაძე მოსკოვში" შეიძლება დავარქვათ განიხილავს საზოგადოება ონლაინ რეჟიმში, სატელევიზიო ეთერში, განიხილავს მედია, განიხილავენ და სხვადასხვა ჩინოვნიკები, რამდენიმე მომღერალიც, თუმცა ამ მომღერლებს ჩვენ ბურჭულაძის კოლეგებს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით უკვე ბევრი სხდომა გაიმართა, ვერც ბრალმდებელი მხარე და ვერც დაცვა ზედაპირულ შეფასება-არგუმენტებს ვერ გასცდა:

**ბრალმდებელი** მხარე ბურჭულაძეს ადანაშაულებს: არასაკმარისი პატრიოტიზმის გამო. საქციელის არაეთიკურობისა და ვითარებასთან მიმართებაში ამორალურობის გამო. ამასთან, ისმის ნებისმიერი ქართველისთვის მტკივნეული რიტორიკული შეკითხვა - რუსეთში რუსებისთვის სიმღერა როგორ შეიძლება?!

**დაცვას** ალბათ აქვს, ანდა უნდა ჰქონდეს ამ ტიპის არგუმენტები: მოსკოვში შედგა საქველმოქმედო პროექტი. ბურჭულაძე პარტნიორობას უწევდა იმ მომღერლებს, რომლებსაც თავად მისთვის უარი არასდროს უთქვამთ, მონაწილეობა მიეღოთ "იავნანას" მიერ ქართველი უსახლკარო და დევნილი ადამიანების დასახმარებლად ორგანიზებულ საღამოებში. მეტიც, ერთ-ერთი რუსი ვოკალისტი მონაწილეობდა იმ "რეკვიემში", რომელიც ბურჭულაძემ ომის შემდეგ გამართა თბილისში. კონცერტამდე პრესკონფერენციაზე პაატა ბურჭულაძემ ნათლად ჩამოაყალიბა, რომ "მისთვის, როგორც ნებისმიერი ქართველისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უპირველესია..." ამას გარდა, სადღაც ითქვა კიდეც, რომ არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც სიკეთე და ადამიანების დახმარება ქველმოქმედების სახით ნებისმიერ ომსა და ეროვნულ იდეოლოგიაზე მაღლა დგას, მართალია რეალურად ასეთი ფრთოსანი ფრაზები ჩვენში ალბათ უკვე ცინიზმსა და ზიზღსაც იწვევს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქველმოქმედებისა და სიკეთის ჭეშმარიტი არსი სწორედ ასეთია - არ ცნობს არც ეროვნებას, არც ანგარებას, არც პოლიტიკას.

მე სულ ცოტა ზემოთ საზოგადოების ცალსახა, ზედაპირულ და სამწუხაროდ ხშირად უმარტივესი აზროვნებით გამოწვეულ შეხედულებებზე მოგახსენებდით. ისინი ასე ჟღერს. ერთი მხრივ, თურმე არ შეიძლება იმ ადამიანის გაკრიტიკება, რომელიც "ასე არაჩვეულებრივად მღერის ბორის გოდუნოვს", არ შეიძლება იმ ადამიანის გაკრიტიკება, რომელიც "ერთადერთია და განუმეორებელი", იყო კიდევ უფრო მეტი განზოგადებაც - არ შეიძლება რუსეთთან კავშირის გაწყვეტა, იმიტომ რომ იქიდან საქართველოში ფული შემოდის და უამრავი საუბარი ბატონი პაატას "კაი ბიჭობისა" შესახებ. ამ თემათა გავრცობა არ ღირს. მაგრამ შეუმჩნევლობაც რთულია, როცა ამ ტიპის აზრთა წყებანი რაოდენობრივად ყოვლისწამლეკავია. მეორე მხრივ: მეტისმეტად რადიკალური დამოკიდებულება და უკომენტარო კრიტიკა, მეტისმეტად მკაცრი ფორმებით. სატელევიზიო დრამებითა და პრომიტიული ქვეტექსტებით რომ ერთი კეთილი კაცი სინამდვილეში ან ცივსისხლიანია, ანდა დალუპული ქართველების ჭირისუფლებს ვერ უთანაგრძნობს, არ შეუძლია, ანდა იდეოლოგიურად სხვა ბანაკს ეკუთვნის.

***

**ფაქტი IV** - ბურჭულაძე პირადად და მისი ფონდი აქამდე ერთნაირად ეხმარებოდა აფხაზს, ქურთს, სომეხსა და ქართველს. დახმარებაც არის და დახმარებაც. ეს დახმარება ბევრად დიდი და სასიცოცხლო გახლდათ ყოველთვის, ვიდრე ყველასი ჩვენი, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში ბავშვთა სახლში საახალწლოდ მიტანილი ორი შეკვრა "პამპერსითა" და რამდენიმე კალათა იაფფასიანი კამფეტებით შემოიფარგლებოდა. მაგრამ...

**კომენტარი**: ცხადია, აქაც არსებობს ეს მუდამ ცოცხალი და ძირითადად ურთულესი შინაარსის მატარებელი "**მაგრამ**". არის ერთდროულად უმარტივესი და ურთულესი ვითარება - საქართველოში ოკუპანტები დგანან და ეს ოკუპანტები რუსები არიან. საქართველოში პრაქტიკულად ომია. ჩვენს მიწაზე გვეომება რუსეთი. ომობს ჩვენი მიწების გამო. თუ დავინახავთ ამ ფაქტების სიმძაფრეს, თუ მოვახერხებთ რომ ეს ძალიან გვეტკინოს, მაშინ ქართველების მოსკოური voyage-ებს ტირილამდეც კი მივყავართ. სრულიად მიუღებელი ხდება სიმღერა და ნებისმიერი ტიპის აქტივობა რუსეთში უბრალოდ მშვიდობისათვის. იმიტომ რომ აქამდე არსებული გამოცდილებით "მშვიდობა რუსეთთან", პირადად ჩემთვის, ქართველობის ეჭვქვეშ დაყენებას, უპერსპექტივობას და განადგურებას ნიშნავს. თუ ამას რეალურად ასეთი სიმძაფრით გავნიცდით, მაშინ მხოლოდ ერთი ჭეშმარტიება არსებობს - რუსეთი მტერია! რუსეთი დამპყრობელია! და არ აქვს მნიშვნელობა პოლიტიკურ განწყობას, იმას თუ რომელ მატარებელში ან რომელ საკანში ზიხარ და რადგანაც პოლიტიკა ვახსენე ...

**ფაქტი V** - ქართული პოლიტიკური განშტოებები და გუნდები ცნობილი ადამიანების, უკაცრავად, შემეშალა - ცნობადი სახეებით სერიოზულ მარათონს მართავენ. შესაძლოა ისინი ზუმბას, ნატო მეტონიძეს, ბუბა კიკაბიძეს, ირმა სოხაძეს, ნინო სურგულაძეს, დავით საყვარელიძეს, ნუკრი ქანთარიას, ნიკო ცეცხლაძეს ანდა თემო გოცაძეს შორის მცირე სხვაობებს არ აკვირდებიან, არ აინტერესებთ, მაგრამ მათი გვერდით დგომა მნიშვნელოვანია უკლებლივ ყველასთვის. ამის გათვალისწინებით პაატა ბურჭულაძისგან დისტანციაზე დადგომით სახელისუფლებო ძალების PRკამპანიის ავტორებმა, კახი კალაძის არ იყოს და საკუთარ კარში გაიტანეს გოლი. ბურჭულაძეს ძალიან ბევრისგან განსხვავებით პრაქტიკულად უნაკლო წარსული აქვს, ამასთანავე არასდროს ყოფილა საზოგადოებისთვის გამაღიზიანებლად პოლიტიზირებული, მაგრამ ის სახელმწიფო პოლიტიკას ედგა მხარში, არა მხოლოდ ათეულობით უპატრონო და უსახლკარო ოჯახების დაბინავება-დაპურებით, არამედ იმ საქმით, რომელიც ღიად არ გამოჩენილა და ამ საქმეს თბილისის ოპერის თეატრის სახისა და ღირსების შენარჩუნება ჰქვია.

**კომენტარი**: მიუხედავად იმისა, რომ 4-5 წლის წინ ოპერისა და ბალეტის თეატრი ქვეყნის სახედ დავისახეთ, ყველას კარგად მოეხსენება, რომ ქვეყნის კულტურის პოლიტიკაში აქცენტი, თანაც დიდი აქცენტი ბალეტზე გაკეთდა. ამ წლების განმავლობაში არ იქნებოდა საოპერო დასის არც ერთი გასტროლი საზღვარგარეთ, არც ერთი პრემიერა, ქართველი ახალგაზრდა ვოკალისტების საზღვარგარეთ სასწავლებლებში გაგზავნა და მიღება, არც ერთი გასტროლიორი თბილისში ბურჭულაძის ფინანსური დახმარების, მისი ავტორიტეტის ჩაურევლობის გარეშე. უმეტესი კონტაქტებისა და ხელშეკრულებების მიღმა პაატა ბურჭულაძე იდგა და დგას. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ნაბიჯითა და წარმატებით თავს შეიძლება სხვები იწონებენ. უნდა ითქვას სიმართლე - თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს დღეს სამი რამე აცოცხლებს: ბალეტს - დამატებითი ფინანსები, რომელსაც ნინო ანანიაშვილის რენომეს უხდის სახელმწიფო, ოპერას - პაატა ბურჭულაძე და ორივეს ერთად მთლიანობაში - დავით საყვარელიძის (დირექტორი) დიპლომატიური, დაბალანსებული მართვის პოლიტიკა და ზაზა აზმაიფარაშვილის (მთავარი დირიჟორი) მოთმინება. განა რა არის თეატრის დახმარება? რა სულელური არგუმენტები მომყავს, არა? არც არაფერი, ათეულობით და ასეულობით ათასი დოლარის ინვესტირება და შენარჩუნებული სფერო. თანაც ეს დარგი ოქრომჭედლობა არაა. გავაგრძელებ აზრს - ბურჭულაძესთან დისტანციამ ოპოზიციაც გაახალისა. არაჩვეულებრივი არგუმენტი მიეცათ იმის სათქმელად - ერთი პაატაა რუსების აგენტიო და მეორე ჩვენო. ჩირქის სახიდან მოწმენდა ხომ ძალიან ადვილია, როცა აბსოლუტურად უნაკლო წარსულის ადამიანთან ერთად ზიხარ ციხის საკანში. ასეთ დროს ალბათ თავი შენც უდანაშაულო მსხვერპლი გგონია.

**კომენტარის კომენტარი**: პაატა ბურჭულაძეს რამდენჯერმე შესთავაზეს თეატრის დირექტორობა და სხვა პროვილეგიები, მაგრამ არა. ასე რომ, მისი მცდელობები, თეატრს დახმარებოდა, ამ ტიპის ანგარებას არ გულისხმობს. რა ძალიან რთული წარმოსადგენიც არ უნდა იყოს ეს ახალი და ძველი თაობის ქართველი ინტელიგენტი ხელოვანებისთვის.

***

**არსებობს კითხვა**: როგორი უნდა ყოფილიყო საზოგადოების რეაქცია ბურჭულაძის მოსკოვში სიმღერაზე. მერე რა რომ, ის აქამდე სხვების მსგავსად არ ყოფილა შემჩნეული რუსების გადამეტებულ სიყვარულში (მას არავისადმი გადამეტებული სიყვარულის გამოხატვა არ დასჭირვებია არასდროს, პირიქით უფრო ხდება), მერე რა რომ, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ახსენა. არც არაფერი. არ უნდა ემღერა! ჩვენი, ანუ მსაჯულების დასკვნა ასეთია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იმედი ვიქონიოთ, რომ ეს დასკვნა ჩვენმა ტკივილმა და ჩვენმა პრინციპულობამ გამოგვატანინა და არა სხვა რამემ ანდა ვინმემ.

**მაგრამ** ჩვენ - მსაჯულები მაშინ ვიქნებოდით მართლები, თუ ჩვენს თავსაც იგივეს მოვთხოვდით, რასაც მსჯავრდებულს. თუ არ იქნებოდა ორმაგი სტანდარტი. თუ არ იქნებოდა ტოტალური გულგრილობა საკუთარი ტრაგედიის მიმართ მთელი წლის განმავლობაში. განა ბურჭულაძე პირველი ქართველია, ვინც ომის შემდეგ მოსკოვში იმღერა?! თუ ჩვენ შევთანხმდით პრინციპულ პროტესტზე და არ ვინდობთ არავის, მაშინ რატომ ვადიდეთ სულ ახლახან თუნდაც ნინო ქათამაძე ბათუმში და რატომ არ ვკითხეთ, რატომ უმღეროდა რუსებს და რატომ სჩუქნიდა მათ გულს (საყვარელი ფრაზით "ჩემი გული თქვენ გეკუთვნით"), თანაც გაცეცხლებული ომის დროს? განა ანანიაშვილს არ აქვს საქმიანი მიმოსვლა რუსეთში? განა ასობით წარჩინებული ქართველი (არ ვგულისხმობ მათ, ვინც საარსებო ფულის გამო რუსეთში მუშაობს) არ აგრძელებს რუსეთში ცხოვრებას? რატომ არის დღემდე თიკა კანდელაკი ყველა ტელეარხის ჟურნალისტისთვის სასურველი რესპონდენტი? ის ხომ ღია ტექსტებით სთხოვს დღე და ღამ რუსეთის პრეზიდენტებს საქართველოს "გათავისუფლებას"? ზუსტად იმ ტელეარხებს ვგულისხომ, რომლებმაც ჩემსავით გამოუტანეს განაჩენი ბურჭულაძეს.

როცა პაატა ბურჭულაძის დაცვის მხარის არგუმენტებს ვთხზავდი, მთავარი არგუმენტი დამავიწყდა: დაცვას შეუძლია თქვას, რომ ხელოვნება ხელოვნებაა და რომ კონცერტი ჩაატარა ერთმა არასამთავრობო გაერთიანებამ. - მერე რა?! - ასეთი იქნება ჩვენი პასუხი, მაგრამ აქვე შეგვახსენებენ: რას ვთხოვთ ბურჭულაძეს და მის ქველმოქმედებას, განა არ ვამბობდით, რომ ბიზნესი ბიზნესი იყო, ეკონომიკა ეკონომიკა და რუს ინვესტორებს ვერაფრის გამო კარს ვერ მივუხურავდით? რაღა დაგიმალოთ და ამ ყველაფრის გათვალისწინებით პაატა ბურჭულაძის მიმართ აღშფოთება მეტისმეტად ამოუხსნელია.

სტატიას, როგორც იქნა, ვასრულებ და ზუსტად ვიცი, რას მეტყვის მკითხველი, დაიწუნებს პოზიციას. მაგრამ მას შევახსენებ, რომ ამ გაზეთის ფურცლებზე მე ჟურნალისტი ვარ და იმაზე მეტი მომეთხოვება, ვიდრე მხოლოდ გაბრაზებული და გაუბედურებული ადამიანების ციტირება. ამას გარდა, ბოლო ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ ქართველი ხელოვანების ინდეფერენტულობასა და გულგრილობაზე ვწერდი. ვწერდი იმაზე, რომ მეორე რუსეთი "ინტელიგენტების" გულებში ჯერ არ მომკვდარა და ყველა ჩვენი უბედურება აქედან იწყება. სწორედ ეს პოზიცია მათქმევინებს, რომ პაატა ბურჭულაძე შეიძლება გმირი ვერ არის. მაგრამ არც ანტიგმირია. ის, მართალია საზოგადოების რჩეულთა ნაწილს ეკუთვნის, მაგრამ მაინც ზოგადად ამ საზოგადოების ნაწილია. საზოგადოებისა, რომელიც თავად ვერ იჩენს სითამამეს, აღიაროს თუნდაც მარცხი, ვერ იჩენს სითამამეს, იგლოვოს და ჭირსა შიგან გამაგრდეს, ამ აღიარებას ლოგიკურად სევდა, სიჩუმე და დაფიქრება მოჰყვება. ჩვენ კი მგონი ფიქრისა და ანალიზის, სიჩუმისა და ჩაფიქრების უფრო გვეშინია და უფრო გვეზარება, ვიდრე დიდი რუსეთის. ჩვენ თავად ვართ ინდეფერენტულნი, დაკარგული გვაქვს ჭეშმარიტი სოლიდარობის, თანაგანცდის და პრინციპულობის უნარი. ბურჭულაძე არ არის ერთადერთი, რომელმაც მშვიდობას უმღერა. ეს მშვიდობა სიმღერის გარეშეც ბევრს უნატრია. მშვიდობა, რომელიც დღეს არსებულ ვითარებასთან შეგუებაა და სხვა არფერი. რუსეთთან მშვიდობა ის მშვიდობაა, რომელიც ამ წუთას და ამ ვითარებაში საქართველოს გამორიცხავს.



**მედეა ჩახავა**

12 სექტემბერს უმშვენიერესი ქალბატონი, მედეა ჩახავა დატოვებს რუსთაველის თეატრს, სადაც მან 65 წელი გაატარა. აქ სიხარულიც ბევრი ჰქონდა და ტკივილიც. 25 წლისა უკვე ვარსკვლავი იყო, განთქმული "შვიდკაცას" წევრი. ეს მთელი თაობა გახლდათ, რომელმაც რუსთაველის თეატრში სულ სხვა ესთეტიკა, სილაღე და უშუალობა შემოიტანა.

ქალბატონმა მედეამ რთული ცხოვრებით იცხოვრა, მრავალ ქარტეხილს გაუძლო და ბოლომდე კეთილი, მიმტევებელი და ადამიანური ურთიერთობების პატივისმცემელი დარჩა. დიდი ულამაზესი ოჯახის დედა და ბებია უყურადღებოდ არავის სტოვებდა, ყველასთვის ღია ჰქონდა გულის კარი, შეჭირვებულთა დამხმარე და ქომაგი იყო, კოლეგების მოყვარული და თანამდგომი.

მედეა ჩახავა ქართული თეატრის ისტორიაში ღირსეულ ადგილს დაიკავებს. დიდხანს ემახსოვრებათ მისი გმირებიც, მაგრამ ამ დიდებული პიროვნების სიყვარული ისეა ხალხში ფესვგადგმული, რომ მომავალი თაობები, რომლებსაც იგი თვალითაც არ უნახავთ, შვილებს მოუყვებიან ლეგენდად ქცეული ბანოვანის ამბავს.

რა დასანანია, ველარასოდეს ვიხილავთ საყვარელ მსახიობს სცენაზე, მაგრამ მისი სული ჩვენს კედლებში იცხოვრებს, ჩვენს გულებში დაიდებს ბინას, რადგან სიკეთე, მადლი და სიცოცხლის სიყვარული უშურველად უწილადა ყოველ ჩვენთაგანს.

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ქალბატონი მედეა სცენაზე იდგა, ისევ ამშვენებდა ის ნაპერწკალი, სიყმაწვილეში რომ გვატყვევებდა და ალბათ ამიტომაც, აღფრთოვანებული მაყურებელი ფეხზე წამომდგარი უხდიდა მადლობას.

ქალბატონო მედეა, დიდი გულისტკივილით გეთხოვებით, ვეთხოვებით თქვენს გმირებსაც, რომლებიც ჩვენთან ერთად მიგაცილებენ უკანასკნელ გზაზე: ვნებიან ესპანელ ქალს - ამარანტას, ლორკას შეშლილ ბებიას, პეპოს კოპწია ფეფელას, სიყვარულისთვის გაჩენილ ლიდა მატისოვას, თბილისელ ქურთ სარეს, რომელი ერთი გავიხსენოთ. . .

იძინეთ მშვიდად, ძვირფასო ქალბატონო, თქვენ ვალმოხდილი მიდიხართ ამ ქვეყნიდან.

*რუსთაველის თეატრი*

# აკადემიკოსი გურამ ხარატიშვილი



ტრაგიკულმა შემთხვევამ სიცოცხლე შეუწყვიტა გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ცნობილ მათემატიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს **გურამ ლევანის ძე ხარატიშვილს.**

აკადემიკოსი გ.ხარატიშვილი დაიბადა 1934 წლის 14 იანვარს ქ.გორში. 1951 წელს ვერცხლის მედალზე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის აკადემიკოს ილია ვეკუას რეკომენდაციით, რომელიც იმ დროს ასწავლიდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გ.ხარატიშვილი, მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1956 წელს, ბრუნდება თბილისში და იწყებს მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში. 1957-1966 წლებში მან გაიარა გზა რიგითი მეცნიერი თანამშრომლიდან განყოფილების ხელმძღვანელამდე.

გ.ხარატიშვილის ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1958 წელი, როდესაც იგი პირველად შეხვდა ოპტიმალური მართვის მათემატიკური თეორიის ერთ-ერთ დამაარსებელს, რუსი მატემატიკოსის, აკადემიკოს ლ.პონტრიაგინის მოწაფეს და ამ სკოლის გამოჩენილ წარმომადგენელს, აკადემიკოს რევაზ გამყრელიძეს. იმავე წელს გამოთვლითმა ცენტრმა გ.ხარატიშვილი ხანგრძლივი მივლინებით გააგზავნა მოსკოვში ვ.სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც რ.გამყრელიძის ხელმძღვანელობით იგი შეუდგა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას ოპტიმალური მართვის თეორიის დარგში; აქ მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

გ.ხატარიშვილმა 1961 წელს ფუნდამენტური სამუშაო შეასრულა. კერძოდ, მან დაამტკიცა ლ.პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპის ანალოგი მართვის სისტემებისათვის, რომლებიც შეიცავენ ფაზურ კოორდინატებში დაგვიანებებს. შემდგომში ეს კვლევა საფუძველი გახდა ოპტიმალური მართვის თეორიისა დაგვიანებული არგუმენტებით. მიღებულ შედეგებს მიეძღვნა ლ.პოტრიაგინის, ვ.ბოლტიანსკის, რ.გამყრელიძისა და ე.მიშჩენკოს ცნობილი მონოგრაფიის "ოპტიმალური პროცესების მათემატიკური თეორია" (ნიუ-იორკი, 1962) ცალკე თავი.

გ.ხატარიშვილს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი გამოკვლევებში, რომლებიც შეეხება დიფერენციალურ განტოლებებს და მართვის თეორიას, ექსტრემალური ამოცანების ზოგად თეორიას, დიფერენციალური თამაშების თეორიას, რიცხვით მეთოდებს ოპტიმალურ ამოცანებში, მათემატიკური მოდელირების თეორიას და მათემატიკის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

გ.ხარატიშვილი ოპტიმალური მართვის თეორიის შემუშავების ორგანიზატორად და პირველი ქართველი მეცნიერ-მათემატიკოსის ანდრია რაზმაძის სამეცნიერო ტრადიციების გამგრძელებლად ითვლებოდა საქართველოში.

რ.გამყრელიძესთან ერთად და ი.ვეკუას უშუალო ხელმძღვანელობით, გ.ხარატიშვილმა დააარსა მართვის თეორიის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დიფერენციალური განტოლებების და მართვის თეორიის განყოფილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

გ.ხარატიშვილი 1994 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი.ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე. 1969- 1972 წწ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, 1972-1981 წწ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი, 1981-2005 წწ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი.

1969 წელს გ.ხარატიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერეტაცია თემაზე: "ექსტრემალური ამოცანები წრფივ ტოპოლოგიურ სივრცეებში". 1970 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება. 1979 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს - ნამდვილ წევრად.

